კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:

ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის მუნიციპალიტეტი, ხიზანიშვილის ქ.108 (ს/კ: 01.11.10.008.202), 10 სართულიანი შენობა

საგანი:

მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის პროცესში

საპროექტო შენობას სამხრეთ-დასავლეთიდან ემიჯნება ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.11.10.008.065 და მისამართით ქ.თბილისი, დასახლება გლდანი, მიკრორაიონი VI, ავტოსადგომის მიმდებარედ (ნაკვეთი 08063). აღნიშნულ ნაკვეთზე განლაგებულია ორსართულიანი კომერციული დანიშნულების შენობა, რომელიც წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის მზიდი კონსტრუქციებით: მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, მზიდი ქვის წყობით და ლენტური საძირკვლებით. მისი მინიმალური დაშორება საპროექტო შენობამდე შეადგენს 9.8 მეტრს. აღსანიშნავია ამ შენობების დაფუძნების ნიშნულების ხელსაყრელი განლაგება - თითქმის ერთ დონეზე.

საპროექტო შენობის დანაჩენ მომიჯნავე ნაკვეთებზე მიმდინარეობს ან აშენებულია ახალი სახლები. უახლოესი მანძილი აღნიშნულ შენობებამდე შეადგენს 15.5 მეტრს – შესაბამისად მათი უსაფრთხოება როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პროცესში საპროექტო შენობის მიმართ არ განიხილება.

დასკვნა:

ზემოაღნიშნული ახალი მშენებლობის წარმოება ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების მდგრადობაზე და მზიდუნარიანობაზე.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტ.მ.დ.,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია

თბილისი 23-10-2019